

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმ N2

2022 წლის 28 აპრილი

ქ. წალენჯიხა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მამუკა მიქავა, ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა.

ბიუროს სხდომა დაიწყო: 14:30 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 14:55 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო

დღის წესრიგი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე
მომხსენებელი კორნელი სალია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე;
3. სხვადასხვა

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი
ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- 1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ
შესახებ;
- 2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის I კვარტალის შესრულების თაობაზე;
- 3.,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
5. „..წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- 6.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ;
- 7.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 132,06 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (მიწის უძრავი ქონების ს/კ N 47.11.42.272. 01/501) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ;
9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და ჰროვატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- 10.შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
- 11.სხვადასხვა

2. მოისმინეს: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ დაავალა საკრებულოს აპარატს მერიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული მასალები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, გამოაქვეყნოს საკრებულოს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, გადუგზავნოს საკრებულოს წევრებს, მოახდინოს წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია და გაგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში. გათვალისწინებით ამისა,

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით:

- ა) მერიის რეორგანიზაციის გეგმა თანდართულ მასალებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს სხდომას ცნობის სახით;
- ბ) საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:
- ბ.ა) რეორგანიზაციის გეგმისა და თანდართული მასალების გაგზავნა საკრებულოს წევრებისთვის, დოკუმენტაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა, მისი განთავსება საკრებულოს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
- ბ.ბ) მერიის რეორგანიზაციის გეგმით განსაზღვრული, საკრებულოში წარმოსადგენი, ყველა მასალის, მათ შორის სამართლებრივი (ნორმატიული) აქტების, საკრებულოს აპარატში დარეგისტრირებისთანავე დაუყოვნებლივ გადაგზავნა ფრაქციებისა და კომისიებისათვის, მათი გამოქვეყნება საკრებულოს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
- ბ.გ) შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების სისტემატიზაცია და გაგზავნა საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და მერიისთვის;
- გ) მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;
- დ) საკრებულოსა და კომისიების სხდომების ჩატარების თარიღი განთავსდეს საკრებულოს ვებგვერდზე კანონით დადგენილი წესით;

3. სხვადასხვა. მიწის ფართობის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით ქონების მართვისა და ბინებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, თემურ ქარდავამ აღნიშნა, რომ მიწის ფართობის იჯარით გაცემის დროს, გათვალისწინებულ იქნეს მიწის ქირის განსაზღვრისას ხელეკრულებაში, ინფლაციის პრობლემები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მრადვილის ავთანდილ გაბეჭის ინიციატივით, გადაწყდა 16 მაისის სხდომაზე მოხდეს სოციალურ საკითხთა კომისიისა და იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეების არჩევა და შესაბამისად, ეს საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე



კორნელი სალია.